ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 25 ივნისის სხდომის

ოქმი №7

სხდომას ესწრებოდა: 28 წევრიდან – 17.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: დ. ოსეფაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ.

3. „ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ტრანსფერის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

4. ცვლილებები მაგისტრატურის 2015 წლის ანკეტა–კითხვარში
   მომხს: დ. ოსეფაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ.

5. ცვლილებები ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში
   მომხს: ნ. დურგლიშვილი, ფაკულტეტის საბჭოს მდივანი

6. ცვლილებები ფაკულტეტის საბჭოს რაოდენობაში
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის დეკანი

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოითქვა თსუ-ის აკადემიურ საბჭოზე დებულების განხილვისას. კერძოდ აკადემიურმა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის რედაქტირება.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, შ. საბაურმა, მ. წერეთელმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და დასამტკიცებლად გაეგზავნოს თსუ–ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა წარმოადგინა ფაკულტეტის კურიკულუმის ცვლილებათა ნუსხა.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, შ. საბაურმა, ტ. ირემაძემ, მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში და დასამტკიცებლად გაეგზავნოს თსუ–ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 15 ივნისის სხდომის №9 ოქმი (თან ერთვის), „ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოსვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის გადმოსვლა არაა შესაძლებელი, რადგანაც მისანიჭებელი ხარისხი (ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი) არ შეესაბამება ფაკულტეტის დარგობრივ პროფილს.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, დ. ოსეფაშვილმა, მ. წერეთელმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. დაბრუნდეს „ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო პროგრამა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინტერდისციპლინურ დეპარტამენტში.
2. ეთხოვოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს ამ ცვლილების დამტკიცება და სტუდენტთა და პროფესორთა ტრანსფერი.

მოისმინეს: 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა წარმოადგინა მაგისტრატურის 2015 წლის ანკეტა–კითხვარის განახლებული ვერსია, რომელშიც ჩაემატა ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან გადმოსული 2 სამაგისტრო პროგრამა: „კონფლიქტების ანალიზი და მართვა" და „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება".

აზრი გამოთქვეს: ნ. პავლიაშვილმა, გ. გოგსაძემ, ა. კუხიანიძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარში და დაემატოს „კონფლიქტების ანალიზის და მართვის" და „ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო პროგრამები.

მოისმინეს: 5. ნ. დურგლიშვილმა დამსწრეთ გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტიდან მიღებული ოქმი, რომლითაც ითხოვენ ალექსანდრე რონდელის ნაცვლად, საბჭოში თორნიკე თურმანიძის შეყვანას.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: განხორციელდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტიდან ნაცვლად ა. რონდელისა შეყვანილ იქნეს თ. თურმანიძე.

მოისმინეს: 6. თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სამაგისტრო და

სადოქტორო პროგრამები დაბრუნდა ფაკულტეტზე და შევიდა ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტში. დეპარტამენტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა ფაკულტეტის საბჭოში, მით უფრო, რომ სავარაუდოდ, კიდევ ერთი პროგრამა გადმოვა ამ დეპარტამენტის ქუდქვეშ.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. წერეთელმა, ა. კუხიანიძემ, შ. საბაურმა და სხვ.

დაადგინეს: განხორციელდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს რაოდენობაში და დაემატოს 2 ადგილი ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტისთვის. ასევე, ვინაიდან საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" და საუნივერსიტეტო რეგულაციებით, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლობა უნდა იყოს არანაკლებ 1/4-ისა, საბჭოს რაოდენობას დაემატოს 1 ადგილი სტუდენტთა თვითმმართველობიდან.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია,
ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი,
ასოცირებული პროფესორი

25 ივნისი, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

13. მარიამ გერსამია
14. დალი ოსეფაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე
20. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
ქალბატონ თამარ ვეფხვაძეს

ქ-ნო თამარ,

გთხოვთ შუამდგომლობას აკადემიური საბჭოს წინაშე, რომ დაამტკიცონ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (2015 წლის 25 ივნისის ოქმი N 7) მიერ განხილული საკითხები:

იხ. დანართი 3 გვ.

პატივისცემით,
თამარ დოლბაია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი

დალი ოსეფაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
26. 06.2015

დანართი:

2015 – 2016 წწ. შემოდგომის სემესტრის პროგრამული ცვლილებები

I. **ფაკულტეტის ყველა სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტიდან შემცირდეს 40 კრედიტამდე.**

II. **ცვლილებები საბაკალავრო პროგრამებში:**

საფაკულტეტო კურსებში დაზუსტდეს რამდენიმე სახელწოდება:

- „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ (ძველი სახელწოდება: შესავალი სოციალური კვლევის მეთდებში)
- „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ (ძველი სახელწოდება: შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში)

„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ ქართულ პროგრამაზე (დანართი N 34) განხორციელედეს შემდეგი ცვლილება:
დაემატოს არჩევითი კურსი:

- სამხედრო საკითხების და საგანგებო სიტუაციების გაშუქება - 5 კრ.

„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ ქართულ-რუსულენოვან პროგრამაზე (დანართი N 35) განხორციელედეს შემდეგი ცვლილება:

- ფსიქოლოგიის შესავალი გახდა არჩევითი.

„საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამაზე (დანართი 40) განხორციელდეს შემდგეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსი:

- „დემოგრაფიის საფუძვლები“ – 5კრ.

„სოციოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე (დანართი 37) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსები:

- „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ - 5კრ;
- „ ბიოგრაფიკა“ - 5კრ.
- „სპეციალური ინგლისური ენა სოციოლოგებისთვის“ – 5კრ.

„სოციალური მუშაობის“ საბაკალვრო პროგრამაზე (დანართი 38) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსი:

- „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ – 5 კრ.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამაზე (დანართი 41) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსები:

- საერთაშორისო განვითარება: ისტორია, პრობლემები და თანამედროვე ტენდენციები - 5კრ.
- ომის ტრანსფორმაცია და ჰიბრიდული კონფლიქტები (სამხედრო კონფლიქტები 1945 წლის შემდეგ) – 5 კრ.
- დაზვერვა, კონტრდაზვერვა და ეროვნული უსაფრთხოება - 5კრ.
- ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა: ევოლუცია, გამოწვევები და პერსპექტივები - 5 კრ.

საბაკალავრო პროგრამაზე „პოლიტიკის მეცნიერება“ (დანართი 36) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსი:

- ადამიანის უფლებები პოლიტიკის კონტექსტში - 5კრ.

III. სამაგისტრო პროგრამებზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

სამაგისტრო პროგრამაზე „მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“ (დანართი 45) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება.
დაემატოს არჩევითი კურსი:

- მედია გარემოს შეფასება და მონიტორინგი - 5 კრ.

დაემატოს სავალდებულო კურსი:

- კვლევის დიზაინი - 5 კრ.

გახდეს არჩევითი შემდეგი კურსები:

- „საზოგადოებრივი აზრის კვლევა“
- „ინფორმაციული საზოგადოების თეორიები“
- „პოსტ-საბჭოთა საქართველო და მედია“

მოხდეს შემდეგი სასწავლო კურსების ამოღება:

- ელექტრონული PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა) - არჩევითი
- ბიზნეს-კომუნიკაციები - არჩევითი
- საჯარო პოლიტიკის ანალიზი - არჩევითი
- კრიზისული სიტუაციების გაშუქება და მონიტორინგი - არჩევითი

სახელწოდება დაუზუსტდეთ შემდეგ საგნებს:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი და კვლევა (ძველი სახელწოდება: საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი)

- მედია-მონიტორინგი და შეფასება (ძველი სახელწოდება: მედია-მონიტორინგი და პიარი)

სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დანართი 62) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსები:

- „თანამედროვე ურბანული თეორიები და ქალაქის ეკოლოგია“ 5კრ;
- „ტურიზმის ინდუსტრია და ეკონომიკური გეოგრაფია“ – 5 კრ.

სამაგისტრო პროგრამაზე „პოლიტიკის მეცნიერება“ (დანართი 63) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსები:

- „პოლიტიკური ელიტების თეორიები“ – 5 კრ.
- „პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: ნაციონალიზმი“ – 5კრ.
- „სტრატეგიული აზროვნება“ – 5კრ.
- „პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: სოციალ-დემოკრატია“ – 5კრ.

სამაგისტრო პროგრამაზე „ნაციონალიზმი და ეთნიკურობის კვლევები“ (დანართი 66) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსები:

- ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები – 5 კრ.
- კონფლიქტი აფხაზეთში – 5 კრ.
- რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები – 5 კრ.
- საქართველო პოსტ-საბჭოთა ტრანზიცია (პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები) – 5 კრ.

სამაგისტრო პროგრამაზე „გენდერის კვლევა“ (დანართი 43) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება. დაემატოს არჩევითი კურსი:

- ქალთა ისტორიის შექმნა: თეორიები,მეთოდოლოგიები,არქივები. – 5 კრ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 9
15ივნისი. 2015 წ.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების - „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ.

განიხილეს:

1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების - „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანა.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თ. გაგოშიძემ მოიწვია ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომა. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო ონლაინ-რეჟიმში.

პროფ. თ. გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა სადოქტორო პროგრამის „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" - სტუდენტების მიერ წარმოდგენილი წერილი იმის შესახებ, რომ ემხრობიან აღნიშნული სადოქტორო პროგრამის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანას. წერილს ხელს აწერს 17 სტუდენტი.

ონლაინ- კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 26 წევრი.

კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1) მედეა დესპოტაშვილი,
2) ლია ჩხიკვიშვილი
3) მანანა მელიქიშვილი,
4) ლალი სურმანიძე,
5) იზაბელა პეტრიაშვილი,
6) ზექა დადეშქელიანი,
7) ირინე გედევანიშვილი,
8) მაია მესტვირიშვილი,
9) ია კუტალაძე,
10) ეთერ ღვინერია,
11) თეონა ლოდია,
12) შორენა მამუკაძე,

13) ანასტასია ქიტიაშვილი,
14) ქეთევან ჭკუასელი,
15) ეკატერინე ფირცხალავა,
16) მზია წერეთელი,
17) ნანუკი ალიბეგაშვილი,
18) თამარ ბუაჩიძე,
19) მარიამ ტაბატაძე,
20) შალვა აბზიანიძე,
21) ლილი ხეჩუაშვილი,
22) ირინე ჟვანია,
23) თამარ აბაშიძე,
24) ია აფთარაშვილი,
25) ხათუნა მარწყვიშვილი,
26) თამარ გაგოშიძე.

კენჭი უყარეს:

1. გადატანილ იქნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები - „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
2. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კვოტები შეუნარჩუნდეს ფაკულტეტს, კერძოდ „ორგანიზაციული განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო პროგრამის 2015-2016 სასწავლო წლის ადგილები გადანაწილდეს ფაკულტეტის სხვა პროგრამებზე.
3. პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ გაათავისუფლოს მის მიერ დაკავებული 201 ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, ამ საკითხებზე კენჭისყრა ცალ-ცალკე განხორციელდა.

1. გადატანილ იქნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

2. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კვოტები შეუნარჩუნდეს ფაკულტეტს, კერძოდ „ორგანიზაციული განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო პროგრამის 2015-2016 სასწავლო წლის ადგილები გადანაწილდეს ფაკულტეტის სხვა პროგრამებზე.

მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

3. პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ გაათავისუფლოს მის მიერ დაკავებული 201 ოთახი.

მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ელექტრონული მიმოწერის პროცესში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელმ ბექა დადეშქელიანმა და პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა დასვეს შეკითხვა „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სამაგისტრო პროგრამების კვოტების თაობაზე. ეს საკითხი დაემატ მეოთხე საკითხად განსახილველ საკითხს და კენჭის საყრელად მიწოდებულ იქნა ონლაინ რეჟიმში შემდეგი ფორმულირებით:

4. სამაგისტრო პროგრამის - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა"- კვოტები შეუნარჩუნდეს ფაკულტეტს, კერძოდ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის 2015-2016 სასწავლო წლის ადგილები გადანაწილდეს ფაკულტეტის სხვა პროგრამებზე.

კენჭისყრის შედეგად:

მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u>

1. გადატანილ იქნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები „ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება" სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
2. სამაგისტრო პროგრამის კვოტები შეუნარჩუნდეს ფაკულტეტს, კერძოდ „ორგანიზაციული განვითარებისა და კონსულტირების" სამაგისტრო პროგრამის 2015-2016 სასწავლო წლის ადგილები გადანაწილდეს ფაკულტეტის სხვა პროგრამებზე.
3. პროფესორ ნოდარ ბელქანიამ გაათავისუფლოს მის მიერ დაკავებული 201 ოთახი.
4. სამაგისტრო პროგრამის - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა"- კვოტები შეუნარჩუნდეს ფაკულტეტს, კერძოდ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის 2015-2016 სასწავლო წლის ადგილები გადანაწილდეს ფაკულტეტის სხვა პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარე
პროფ. თ. გაგოშიძე

სხდომის მდივანი
ასისტ./პროფ.
ე. ფირცხალავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური პერსონალის **2015 წლის 20 ივნისის** კრების

ო ქ მ ი

ესწრებოდნენ: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ დავითაშვილი (კრების თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი, ასისტენტ–პროფესორი ეკა აკობია, ასისტენტ–პროფესორი დავით მაცაბერიძე, ასისტენტ–პროფესორი სოფო პეტრიაშვილი.

დღის წესრიგი: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორის, ალექსანდრე რონდელის გარდაცვალების გამო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო საბჭოში მისი ჩანაცვლება ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძით.

მოისმინეს: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ ზურაბ დავითაშვილის წინადადება, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო საბჭოში ნაცვლად პროფესორი ალექსანდრე რონდელისა, საფაკულტეტო საბჭოში წარდგენილ იქნეს ამავე მიმართულების ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე.

დაადგინეს: კრების ყველა მონაწილის თანხმობით, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფაკულტეტო საბჭოში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი ალექსანდრე რონდელი ჩაანაცვლოს, ამავე მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა თორნიკე თურმანიძემ.

კრების თავმჯდომარე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი

პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

კრების მდივანი

კონსტანტინე შუბითიძე